

## შპს „რუისპირის მამული“

*ფინანსური ანგარიშგება*

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალისდასხვასრულიშემოსავლისანგარიშგება ..... 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 2

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები ..... 3

1. კორპორატიულიინფორმაცია..... 3

2. მომზადების საფუძველი..... 3

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ..... 3

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... 7

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 7

6. სხვა შემოსავალი ..... 7

7. საპროცენტო ხარჯი ..... 7

8. ძირითადი საშუალებები ..... 8

9. ფული და ფულის ექვივალენტები..... 9

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები..... 9

11. მარაგები ..... 9

12. გადასახადები..... 9

13. მიღებული სესხი ..... 9

14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 10

15. პირობითი ვალდებულებები ..... 10

16. ბალანსის შედგენის თარიღის მომდევნო მოვლენები..... 10


## შპს “რუისპირის მამული”

### მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                        | 2023             | 2022             |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან               | 8,390            |                  |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება  | (8,320)          |                  |
| <b>მთლიანი მოგება</b>                  | <b>69</b>        | <b>-</b>         |
| ხელფასის ხარჯი                         | (118,643)        | (158,926)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                   | (336,089)        | (137,829)        |
| საიჯარო ქირა                           | (9,086)          | (22,975)         |
| სხვა საოპერაციო ხარჯი                  | (105,977)        | (229,529)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>               | <b>(569,725)</b> | <b>(549,259)</b> |
| არასაოპერაციო შემოსავლები              | 177,765          | 249,508          |
| საპროცენტო ხარჯები                     | (243,367)        | (238,346)        |
| მოგება/ზარალი საკუთროსო სხვაობიდან     | (4,296)          | (19,306)         |
| <b>სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი</b> | <b>(69,898)</b>  | <b>(8,144)</b>   |
| მოგების გადასახადი                     | -                | -                |
| <b>წმინდა მოგება</b>                   | <b>(639,623)</b> | <b>(557,403)</b> |



თემურ ვაშაკიძე  
დირექტორი


## შპს “რუისპირის მამული”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

|                                                         | 2023              | 2022              | 2021             |
|---------------------------------------------------------|-------------------|-------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                         |                   |                   |                  |
| ფული და ფულადი ექვივალენტები                            | 19,622            | 4,899             | 39,243           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                              |                   |                   | 5,966            |
| გადახდილი ავანსები                                      | 2,140,728         | 1,077,819         | 1,053,291        |
| ნედლეული და მასალები                                    | 501,191           | 241,748           | 67,507           |
| მზა პროდუქცია                                           | 53,470            | 49,021            | 948              |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                              |                   | 116,857           | 142,716          |
| <b>ჯამურად მიმდინარე აქტივები</b>                       | <b>2,715,011</b>  | <b>1,490,344</b>  | <b>1,309,671</b> |
| ძირითადი საშუალებები                                    | 9,025,100         | 8,542,375         | 4,514,151        |
| <b>სულ გრძელვადიან აქტივები</b>                         | <b>9,025,100</b>  | <b>8,542,375</b>  | <b>4,514,151</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                                     | <b>11,740,111</b> | <b>10,032,719</b> | <b>5,823,822</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                                    |                   |                   |                  |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 23,140            | 19,303            | 14,249           |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი                  | 126,667           | 338,903           | 252,360          |
| გრძელვადიანი სესხები                                    | 1,481,984         | 1,358,083         | 1,458,640        |
| სხვა ვალდებულებები                                      | 1,096             |                   |                  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                | <b>1,632,885</b>  | <b>1,716,289</b>  | <b>1,725,249</b> |
| <b>კაპიტალი</b>                                         |                   |                   |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                      | 11,513,696        | 9,083,277         | 4,308,017        |
| გაუნაწილებელი მოგება                                    | (1,406,470)       | (766,847)         | (209,444)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                     | <b>10,107,225</b> | <b>8,316,430</b>  | <b>4,098,573</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>                    | <b>11,740,111</b> | <b>10,032,719</b> | <b>5,823,822</b> |

თემურ ვაშაკიძე  
დირექტორი



## შპს “რუისპირის მამული”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 1. კორპორატიული ინფორმაცია

რუისპირის მამული (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2020 წლის 11 თებერვალს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405378185.

**ძირითადი საქმიანობა.** შპს “რუისპირის მამული” აშენებს სასტუმროს კომპლექსს, შემდგომში გათვლილს ტურისტული საქმიანობისათვის. ასევე ღვინის ქარხანას შემდგომში ქართული ღვინის წარმოებისათვის. კომპანიამ შეისყიდა მიწები და ვაზის ნერგები ვენახის გასაშენებლად.

**იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანიის იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გ. ფანჯიკიძის ქ., N 22, ბლოკი ა, ბ. 12

**კომპანიის მეწილეები:** ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის წილის 100% იანი წილის მფლობელია გიორგი ჩხეიძე

#### 2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

**შესაბამისობის განცხადება.** აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**უცხოური ვალუტა.** ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

**3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

|                        | საქართველოს ეროვნული ზანკის<br>ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|-------------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                      | ევრო   |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 2.6894                                          | 2.9753 |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 2.6832                                          | 2.8270 |

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარეცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

**ძირითადი საშუალებები.**

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

**ბიოლოგიური აქტივები.** კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ვენახებს, ვინაიდან ამ ბიოლოგიური აქტივების კატეგორიისთვის, რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე, შეუძლებელია კომპანია ბიოლოგიურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლეად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, დაგროვილი დანახარჯები მიეკუთვნება მწიფე ვენახებს და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას ერიცხება ცვეთა.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს

**მარაგები.** კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

**სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**სესხები.** სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**გადასახადები.** საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ანარაზღვიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

**საპენსიო შენატანები.** 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

**განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.** კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

**კაპიტალი.** ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღებიკომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

**სხვა შემოსავალი.** სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

**ხარჯების აღიარება.** მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

**დივიდენდები.** დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.** ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით.** კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში



## შპს “რუისპირის მამული”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიათ. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

### 5. სხვა საოპერაციო ხარჯები

|                                            | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|--------------------------------------------|----------------|----------------|
| საწვავის ხარჯი                             | 62,430         | 22,898         |
| ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი          | 339            | 2,364          |
| ავტომობილების იჯარის ხარჯი                 | 10,000         | 10,375         |
| მიღებული მომსახურების ხარჯები              | 51,477         | 40,078         |
| კომუნალური ხარჯი                           | 34,472         | 23,500         |
| საბანკო ხარჯი                              | 439            | 150            |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                 | 70,372         | 6,613          |
| <b>სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები</b> | <b>229,529</b> | <b>105,977</b> |

### 6. სხვა შემოსავალი

2023 და 2022 წლებში სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ფორმირებულია საგრანტო შემოსავლით.

### 7. საპროცენტო ხარჯი

კომპანიას აღებული აქვს აგრო სესხი (საპროცენტო განაკვეთი -15%), შესაბამისად საპროცენტო ხარჯი დაკავშირებულია აღნიშნული სესხთან.

შპს “რუისპირის მამული”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

|                           | მიწის ნაკვეთები  | შენობები       | დაუმთავრებელი<br>შენობლობა | მანქანა<br>დანადგარები | სატრანსპორტი<br>საშუალებები | სხვა           |
|---------------------------|------------------|----------------|----------------------------|------------------------|-----------------------------|----------------|
| <b>საწყისი ღირებულება</b> |                  |                |                            |                        |                             |                |
| ბალანსი 31/12/2021        | 1,001,923        | 247,024        | 2,202,276                  | 148,669                |                             | 28,297         |
| დანამატები                | 199,879          | 148,543        | 2,688,312                  | 1,507,469              | 215,294                     | 339,795        |
| გაყიდვა/ჩამოწერა          |                  |                |                            |                        |                             |                |
| ცვეთა პერიოდისათვის       |                  | (315)          |                            | (111,050)              | (14,665)                    | (39,871)       |
| ბალანსი 31/12/2022        | 1,201,802        | 395,252        | 4,890,588                  | 1,545,087              | 200,629                     | 328,222        |
| დანამატები                | 403,552          | 30,421         | 222,081                    | 110,982                | 9,280                       | 23,294         |
| გაყიდვა/ჩამოწერა          |                  |                |                            |                        |                             |                |
| ცვეთა პერიოდისათვის       |                  | (315)          |                            | (218,234)              | (43,059)                    | (74,481)       |
| ბალანსი 31/12/2023        | 1,605,354        | 425,358        | 5,112,669                  | 1,437,835              | 166,850                     | 277,035        |
| <b>ბალანსი 31/12/2021</b> | <b>1,001,923</b> | <b>247,024</b> | <b>2,202,276</b>           | <b>148,669</b>         | <b>-</b>                    | <b>28,297</b>  |
| <b>ბალანსი 31/12/2022</b> | <b>1,201,802</b> | <b>395,252</b> | <b>4,890,588</b>           | <b>1,545,087</b>       | <b>200,629</b>              | <b>328,222</b> |
| <b>ბალანსი 31/12/2023</b> | <b>1,605,354</b> | <b>425,358</b> | <b>5,112,669</b>           | <b>1,437,835</b>       | <b>166,850</b>              | <b>277,035</b> |

## შპს “რუისპირის მამული”

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებულის ანგარიშგებოქლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

#### 9. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                         | 12/31/2022   | 12/31/2023    |
|-----------------------------------------|--------------|---------------|
| ლარი საბანკო ანგარიშებზე                | 4,847        | 19,610        |
| უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე      | 52           | 12            |
| <b>სულ ფული და ფულადი ექვივალენტები</b> | <b>4,899</b> | <b>19,622</b> |

#### 10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                 | 12/31/2022       | 12/31/2023       |
|---------------------------------|------------------|------------------|
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 109,664          | 176,485          |
| გადახდილი ავანსები              | 968,155          | 1,964,243        |
| <b>სულ მიმდინარე მოთხოვნები</b> | <b>1,077,819</b> | <b>2,140,728</b> |

#### 11. მარაგები

|                                           | 12/31/2022     | 12/31/2023     |
|-------------------------------------------|----------------|----------------|
| ნედლეული და მასალები                      | 241,748        | 501,191        |
| მზა პროდუქცია                             | 49,021         | 53,470         |
| <b>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</b> | <b>290,769</b> | <b>554,661</b> |

ნედლეული და მასალები ძირითადად შეიცავს სასტუმროს მშენებლობისთვის განკუთვნილ მარაგებს.

#### 12. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან საბაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

#### 13. მიღებული სესხი

|                                        | ვალუტა | პროცენტი | 31 დეკემბერი<br>2022 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|----------------------------------------|--------|----------|----------------------|----------------------|
| ფინანსური ინსტრუქტისგან მიღებული სესხი | ლარი   | 15.00%   | 1,696,986            | 1,608,650            |

#### 14. პირობითი ვალდებულებები

**სასამართლო დავები.** დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

**გადასახადები.** საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

#### 15. ბალანსის შედგენის თარიღის მომდევნო მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.